საქართველოს პრეზიდენტის

ბრძანებულება №1

2008 წლის 4 იანვარი

ქ. თბილისი

საქართველოს საპატრიარქოსათვის სახელმწიფო ტყის ფონდის კასპის ყოფილი სელექციური სატყეო მეურნეობის ორთაჭალის სანერგე უბნის ტერიტორიაზე მიჩენილი უბნის (10 ჰა მიწის ფართობი) გამოყოფის შესახებ

1. საქართველოს ტყის კოდექსის მე-17 მუხლის მე-2 ნაწილის, „სახელმწიფო ტყის ფონდის მიჩენილი უბნის გამოყოფისა და ამ უბნის ტერიტორიაზე ტყითსარგებლობის, მისი შეზღუდვის, შეჩერებისა და აკრძალვის წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 10 დეკემბრის №506 ბრძანებულების შესაბამისად:

ა) დაკმაყოფილდეს საქართველოს საპატრიარქოს თხოვნა და საკურორტო-რეკრეაციული ცენტრის შექმნის მიზნით სახელმწიფო ტყის ფონდის კასპის ყოფილი სელექციური სატყეო მეურნეობის ორთაჭალის სანერგე უბნის ტერიტორიაზე საქართველოს საპატრიარქოს გამოეყოს მიჩენილი უბანი;

ბ) მიჩენილ უბნად განისაზღვროს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება–სატყეო დეპარტამენტის ყოფილი კასპის სელექციური სატყეო მეურნეობის ორთაჭალის სანერგე უბნის კვარტალ №4-ის ლიტერი №1, 2, 4, 7, 9, საერთო ფართობით – 10 ჰექტარი;

გ) მიჩენის ვადად განისაზღვროს 20 წელი;

დ) საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ მიჩენილი უბნის გამოყოფის მიზნით კანონმდებლობით დადგენილი წესით ერთ თვეში უზრუნველყოს საქართველოს საპატრიარქოსთან ხელშეკრულების გაფორმება და მიჩენილი უბნის გადაბარება.

2. ბრძანებულება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ნ. ბურჯანაძე

საქართველოს პრეზიდენტის

მოვალეობის შემსრულებელი